

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2014 წელს განხორციელებული პროგრამის „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში გაწეული იქნა შემდეგი მომსახურებები:

❖ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ქვეპროგრამების ფარგლებში:

„სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით, ტექნიკის ღირებულების 30%-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ მიწოდებული იქნა:

250 ერთეული მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 7 ცხ.ძ. ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებით, საერთო ღირებულება - 754 000 ლარი, ერთეულის ღირებულება - 3016 ლარის, ფერმერის წილი - 904,8 ლარი;

80 ერთეული მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 6,5 ცხ.ძ. ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებით და სათიბელათი, საერთო ღირებულება - 312 000 ლარი, ერთეულის ღირებულება - 3900 ლარის, ფერმერის წილი - 1170 ლარი;

20 ერთეული მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 7 ცხ.ძ. ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებით და კარტოფილის სარგავით, საერთო ღირებულება - 78 400 ლარი, ერთეულის ღირებულება - 3920 ლარის, ფერმერის წილი - 1176 ლარი;

10 ერთეული მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 7 ცხ.ძ. ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებით და მულჩერით, საერთო ღირებულება - 34 780 ლარი, ერთეულის ღირებულება - 3478 ლარის, ფერმერის წილი - 1043,4 ლარი.

„სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით, საქონლის ღირებულების 30%-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ მიწოდებული იქნა:

250 ერთეული 50 კვ.მ-იანი სასათბურე კონსტრუქცია (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი), საერთო ღირებულება - 466,450 ერთეულის ღირებულება - 1865,8 ფერმერის წილი - 559,74 ლარი.

„მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსებით ნერგის ღირებულების 30%-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ სულ მიწოდებული იქნა 27 250 ცალი ნერგი, საერთო ღირებულება - 152,621 ლარი, კერძოდ:

8000 ცალი კაკლის ნერგი, საერთო ღირებულება - 56 996 ლარი, ერთეულის ფასი - 7,1245 ლარი, ფერმერის წილი - 2,137 ლარი.

3500 ცალი სუბტროპიკული ხურმის ნერგი, საერთო ღირებულება - 14 000 ლარი, ერთეულის ფასი - 4 ლარი, ფერმერის წილი - 1,20 ლარი.

13,750 ცალი მოცვის ნერგი, საერთო ღირებულება - 75,625 ლარი, ერთეულის ფასი - 5,5 ლარი, ფერმერის წილი - 1,65 ლარი.

2000 ცალი აქტინიდიის (კივი) ნერგი, საერთო ღირებულება - 6000 ლარი, ერთეულის ფასი - 3 ლარი, ფერმერის წილი - 0,90 ლარი.

**„მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის“** ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით, ღირებულების 40 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ მიწოდებული იქნა:

964 ერთეული ფუტკრის სკა, საერთო ღირებულება - 226,888 ლარი, ერთეულის ღირებულება - 235,36 ლარი, ფერმერის წილი - 94,144 ლარი.

30 ერთეული თაფლის საწური ციბრუტი, საერთო ღირებულება 14,349 ლარი, ერთეულის ღირებულება 478,30 ლარი, ფერმერის წილი - 191,32 ლარი.

**„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემდგომი განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების“** ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 11 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრება/სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაშენდა 5 3ა ფართობის სამრეწველო-სანიმუშა ბაღი, მათ შორის 1 3ა ფართობის მოცვის, 2 3ა ფართობის ვენახისა და 2 3ა ფართობის კაკლის ბაღი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე მიწოდებული იქნა:

3300 ცალი ამერიკული ლურჯი მოცვის ნერგი, საერთო ღირებულება - 22984,50 ლარი;

5000 ცალი ვენახის (2500 ძირი - ჩხავერი; 2500 ძირი - ცოლიკოური) ნერგი, საერთო ღირებულება - 15 000 ლარი;

700 ცალი კაკლის ნერგი, საერთო ღირებულება - 6580 ლარი;

1800 კგ შპალერის მავთული, საერთო ღირებულება - 4374 ლარი;

12000 გრზ/მ ეკალ მავთული, საერთო ღირებულება - 2520 ლარი;

4600 კგ მინერალური სასუქი, საერთო ღირებულება - 4572 ლარი;

120 ტონა ორგანული სასუქი, საერთო ღირებულება - 7200 ლარი;

ორი ერთეული წვეთოვანი სარწყავი სისტემა, ღირებულებით - 2975,40 ლარი;

5 3ა ფართობის ნიადაგის პლანტაჟის, დახვნა დაფარცხვა მომსახურება ღირებულებით - 4,980 ლარი.

**ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში ექვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა:**

4 ცალი მანდარინის ნაყოფის მობილური დამკალიბრებელი დანადგარი, საერთო ღირებულება - 34 000 ლარი, ერთეულის ფასი - 8500 ლარი;

3 ცალი თხილის მობილური გამრჩევი დანადგარი, საერთო ღირებულება - 9000 ლარი, ერთეულის ღირებულება - 3000 ლარი.

**„ფერმერთა ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფილების დონის ამაღლების მიზნით ქიმიური მელიორაციის ღონისძიებების გამოყენების“** ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით, ღირებულების 40 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ მიწოდებული იქნა:

8000 ტონა დეფექციური ტალახი, საერთო ღირებულება - 632 000 ლარი, ერთეულის ღირებულება - 79 ლარი, ფერმერის წილი - 31,6 ლარი.